



დასკვნა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური
ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში
ცვლილებების შეტანის თაობაზე“

თბილისი, 2023

შინაარსი

დასკვნა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე	3
დასკვნა	4
რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები	5
რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები	5

დასკვნა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა (შემდგომ – სას) მოამზადა დასკვნა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პასუხისმგებლობა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან დაკავშირებით

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 103-ე მუხლის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა (შემდგომ – მთავრობა) პასუხისმგებელია „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის (შემდგომ – ცვლილებების პროექტი), თანდართული მასალების, რომლებიც უნდა შეიცავდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (შემდგომ – აფხაზეთის ა/რ) რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო შედეგის პროგნოზებს, მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ

პროცედურებს, რომლებიც წარმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის – „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

- ქმნის თუ არა ის მნიშვნელოვანი პროგნოზები და სხვა დაშვებები, რომლებსაც ბიუჯეტის ცვლილების კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის შესაბამის საფუძველს;
- არის თუ არა ბიუჯეტის ცვლილების კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და საფუძვლიანი და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- არის თუ არა ბიუჯეტის ცვლილების კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად, ხოლო ყველა არსებითი დაშვება – ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, გარდა დასკვნაში მოცემული საკითხებისა, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი არსებული დაშვებების საფუძველზე მომზადებულია მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით, თუმცა პერსპექტიული ინფორმაციის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ რეალური მაჩვენებლები განსხვავდებოდეს კანონპროექტით გათვალისწინებულისაგან და გადახრები შესაძლოა არსებითი ხასიათისა იყოს.

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

2023 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილებების პროექტით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების ოდენობა არ განიცდის ცვლილებას და 27,700.0 ათასი ლარით არის განსაზღვრული. 2023 წლის ბიუჯეტში თავისუფალი ნაშთიდან (595,7 ათასი ლარი) წლის დასაწყისიდან გამოყენებული რესურსი იცვლება. კერძოდ, 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში გამოყენებული ნაშთი შეადგენდა 315,0 ათასი ლარს, 2023 წლის ცვლილებით გამოყენებული ნაშთი დამატებით იზრდება 280,3 ათას ლარით (სულ ჯამში გამოყენებული ნაშთი შეადგენს 595,3 ათასი ლარს).

ცხრილი 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები (ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის ბიუჯეტის კანონი (1)	2023 წლის კანონის ცვლილების პროექტი (2)	ცვლილება (1)-(2)
გადასახადები	13,100.0	13,100.0	0
სპეციალური ტრანსფერი	14,000.0	14,000.0	0
სხვა შემოსავლები	600.0	600.0	0
შემოსულობები სულ:	27,700.0	27,700.0	0

რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2022 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილებების პროექტით რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ჯამური ოდენობა იცვლება და 28,295.3 ათასი ლარითაა განსაზღვრული. (2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 28,105.04 ათასი ლარი). ცვლილებებს (ზრდა/კლება) განიცდის უშუალოდ მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებები/შესაბამისი პროგრამები. გადასახდელების ზრდა ჯამში შეადგენს 280,3 ათას ლარს.

ცხრილი 2. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები ცალკეული კომპონენტის მიხედვით
(ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის ბიუჯეტის კანონი	2023 წლის კანონის ცვლილების პროექტი	(%)	ცვლილება
(1)	(2)	(3)	(3) / (2) x 100	(3)-(2)
ხარჯები	27,511.541	27,991.841	101.7	480.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	503.5	303.5	60.3	(200)
გადასახდელები სულ:	28,015.041	28,295.341	101	280.3
ფინანსური აქტივების(ნაშთის) ზრდა/კლება	(315.041)	(595.341)	189	280.3
ვალდებულებების კლება	0	0	0	0
მათ შორის, შემოსავლების ხარჯზე	0	0	0	0

ცხრილი 3. რესპუბლიკური ბიუჯეტის „ხარჯების“ მუხლის ცალკეული კომპონენტი (ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის ბიუჯეტის კანონი	2023 წლის კანონის ცვლილების პროექტი	(%)	ცვლილება
(1)	(2)	(3)	(3) / (2) x 100	(3)-(2)
შრომის ანაზღაურება	11,895.727	11,895.727	100	0
საქონელი და მომსახურება	4,993.93	5,189.25	104	195.32
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	6,920.805	7,132.785	103	211.98
გრანტები	5.0	5.0	100	0
სოციალური უზრუნველყოფა	2,561.2	2,556.2	99.8	(5.0)
სხვა ხარჯები	1,134.879	1,212.879	107	78
ხარჯები სულ:	27,511.541	27,991.841	100	480.3

2023 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილებების პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, 2023 წლის ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანა განპირობებულია ნაშთისა და გადასახდელების დაზუსტებით. წარმოდგენილი კანონპროექტით, ხორციელდება თავისუფალი ნაშთის 280.3 ათასი ლარის და გადასახდელებში გამოთავისუფლებული 200.0 ათასი ლარის გადანაწილება, კერძოდ:

დასკვნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

სსიპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს ქვეპროგრამის - „სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში, ქალაქ თბილისის მერიის მიერ 30 წლით გადმოცემულ მიწის ფართზე (ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ს/კ 01.19.33.019.083) აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარების, მათი პოტენციალის რეალიზებისა და საზოგადოებრივ, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში ჩართულობისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად 2023 წელს დაგეგმილი იყო ინფრასტრუქტურული საპროექტო სამუშაოების (დაპროექტება-დაგეგმარება) ჩატარება. ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის მოლაპარაკებების შედეგად ფონდმა გამოთქვა მზაობა აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად. შესაბამისად, სააგენტოს ქვეპროგრამაში – „სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა“ გათვალისწინებული 200.0 ათასი ლარი, გადანაწილდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აპარატზე და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების ასიგნებებში, მ.შ. ახალ და არსებულ პროგრამებში/ქვეპროგრამებში. რაც შეეხება გამოუყენებელ თავისუფალ ნაშთს – 280.3 ათას ლარს, გადანაწილდა მხარჯავ დაწესებულებებზე (იხ. ცხრილი N4).

ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ მიუხედავად მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებში დაგეგმილი მთელი რიგი ცვლილებებისა, ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის განმარტებით, ბარათში სათანადოდ (არგუმენტირებულად) არაა წარმოდგენილი შესაბამისი (საკმარისი) დასაბუთება განსახორციელებელი ცვლილებების აუცილებლობასთან დაკავშირებით. სრულად არაა გაანალიზებული (გათვალისწინებული) ინფორმაცია ზოგიერთი მხარჯავი დაწესებულების მიერ 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური და 2023 წლის 3 თვის გეგმური მაჩვენებლების შესრულების შედეგებთან დაკავშირებით. კერძოდ, ფიქსირდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მხარჯავი დაწესებულებების მიერ ეკონომიკური კალსიფიკაციის მუხლების მიხედვით ასიგნებები ვერ იქნა ათვისებული, ანუ რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმური მაჩვენებლები ვერ შესრულდა, თუმცა მიუხედავად ამისა, ცვლილებების პროექტით გათვალისწინებულია მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების დამატებითი ზრდა. ასე მაგალითად, აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში (ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა) „სხვა ხარჯების“ მუხლით დაგეგმილია 43-ათასლარიანი ზრდა, მაშინ როდესაც მიმდინარე წლის 3 თვის გეგმური მაჩვენებლები შესრულებულია მხოლოდ 84.9%-ით. ანლოგიურად, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის მინისტრის აპარატში: (სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისაკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება და მართვა) „საქონელი და მომსახურების“ მუხლით დაგეგმილი ზრდა შეადგენს 76.0 ათას ლარს, მაშინ როდესაც მიმდინარე წლის 3 თვის გეგმური მაჩვენებელი 94%-ია, ხოლო (საარქივო საქმიანობის განხორციელება აფხაზეთის წყარო დაწესებულებებში) „საქონელი და მომსახურების“ მუხლით დაგეგმილი ზრდა შეადგენს 4.7 ათას ლარს, მაშინ როდესაც მიმდინარე წლის 3 თვის გეგმური მაჩვენებელი 92%-ია.

დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებით წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი 4. რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების ცვლილებები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით

პროგრამული კოდი	დასახელება	ზრდა	2023 წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულება (%)
02 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები	30 000	
02 01	მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა		
	საქონელი და მომსახურების მუხლი	30 000	99.2
05 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	5 000	
05 01	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა		
	საქონელი და მომსახურების მუხლი		99.6
06 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	5 000	
	საქონელი და მომსახურების მუხლი	5 000	97.6
18 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	159 600	
18 01	ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა		
	შრომის ანაზღაურება	56 000	100
	სხვა ხარჯები	43 000	84.9
18 07	სსიპ - ეკონომიკური პროგრამების სააგენტო		
	სუბსიდია	58 800	99.6
19 00	იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი და მასთან არსებული ორგანიზაციები	80 700	

19 01	სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისაკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება და მართვა		
	საქონელი და მომსახურების მუხლი	76 000	94.3
19 04	საარქივო საკმთანობის განხორციელება აფხაზეთის წყარო დაწესებულებებში		
	საქონელი და მომსახურების მუხლი	4 700	92.2
სულ ჯამში		280 300	

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილებების პროექტში წარმოდგენილი ინფორმაცია საჭიროებს უფრო დეტალურ, სათანადოდ (არგუმენტირებულად) შედგენილ დასაბუთებას, თავისი კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური გათვლებითა და კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფების მითითებით. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები ძირითადად მიმართული უნდა იყოს აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაზე, რომელიც ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონშია განსახლებული. გარდა ამისა, ცვლილებების პროექტით გათვალისწინებულია ძირითადად „საქონელი და მომსახურების“, და „სხვა ხარჯების“ მუხლებით ასიგნებების გაზრდა და ამ შემთხვევაშიც არსებული მწირი ინფორმაცია სრულად არ იძლევა აღნიშნული ცვლილებების საფუძვლიანობის შეფასების შესაძლებლობას.

ამრიგად, საჭიროა დამატებითი ყურადღების გამახვილება განსახორციელებელი ცვლილებების საფუძვლიანობასა და აუცილებლობაზე.

გარდა ამისა, წარმოდგენილი 2023 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტი ითვალისწინებს ძირითადად აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის და აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის ¹ სამინისტროებისათვის წლიური გეგმით გამოყოფილი პროგრამული (სხვადასხვა პროგრამის/ქვეპროგრამის მიხედვით) ასიგნებების გაზრდას. თუმცა, აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების 2023 წლის 3 თვის ფაქტობრივი საკასო შესრულების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს დაგეგმილი ცვლილებების საფუძვლიანობასა და აუცილებლობაზე.

კერძოდ, ჩატარებული ანალიზის შედეგები შეიძლება განვიხილოთ წარმოდგენილი ცხრილის სახით.

¹ ძირითადად სსიპ ეკონომიკური პროგრამების სააგენტო – 18 07.

ცხრილი 5. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები პროგრამებისთვის (ათასი ლარი)

ორგანიზაციის კოდი	პროგრამის დასახელება	2023 წლის ბიუჯეტის კანონით, წლიური გეგმური მონაცემები	2023 წლის 3 თვის ფაქტობრივი შესრულება	2023 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტით წლიური გეგმური მონაცემები	სხვაობა	(%)
1	2	3	4	5	(5)-(3)	(5)/(3)X100
06 04	განათლების ხელშეწყობის პროგრამა	313.36	90.48	376.36	63	120
06 10	კულტურული ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა	24.5	1.8	44.12	19.62	180
06 11	თეატრალური, სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა	2,482.0	647.06	2,537.2	55.2	102
18 07 01	ეკონომიკური პროგრამების მართვა	852.02	207.8	893.22	41.2	105
18 07 23	ეკონომიკური სერვისების მიწოდება	259.0	45.24	276.6	17.6	107

ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2023 წლის ცვლილებების პროექტით გათვალისწინებულია ახალი პროგრამების/ქვეპროგრამების დამტკიცება და ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნებების ასახვა. ძირითადად, აღნიშნული პროგრამები/ქვეპროგრამები წარმოდგენილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში. მართალია, მოცემული პროგრამები/ქვეპროგრამები უმეტესად მიმართულია დევნილი მოსახლეობის მხარდასაჭერად და სხვადასხვა საჭიროების დაკმაყოფილებაზე, მაგრამ მნიშვნელოვანია ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის განმარტებით ბარათში წარმოდგენილ იქნას მათი პრიორიტეტულობისა და აუცილებლობის მეტი დასაბუთება.² ინფორმაცია ახალი პროგრამების/ქვეპროგრამების შესახებ შეიძლება განვიხილოთ წარმოდგენილი ცხრილის სახით.

² მაგალითად, „06 10 22 ბანაკი – კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა“ შემთხვევაში სასურველია წარმოდგენილი იქნას უფრო მეტი, დამაჯერებელი დასაბუთება.

ცხრილი 4. ინფორმაცია ახალი პროგრამების/ქვეპროგრამების შესახებ მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით (ათასი ლარი)

პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი	დასახელება	ასიგნებები
05 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	
05 08 08	ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირთა სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების თანადაფინანსება	10.0
06 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	
06 10 22	ბანაკი – კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა	19.62
06 27 02 01	შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა	11.0
06 27 02 03	გზავნილი აფხაზეთიდან	10.0
სულ:		50.62

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის პროცესში, პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე გამოყოფილი ასიგნებების გეგმური მაჩვენებლების დაკორექტირებისას, ახალი პროგრამების/ქვეპროგრამების დამტკიცებისას, სხვა მიზეზებთან ერთად, მიზანშეწონილია მხედველობაში იქნეს მიღებული აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების პრიორიტეტულობა/აუცილებლობა, ათვისებული საბიუჯეტო სახსრების მიმდინარე და გასული საბიუჯეტო წლების ტენდენციები, რათა უზრუნველყოფილ იქნას საბიუჯეტო რესურსის ეფექტიანი გადანაწილება და განკარგვა.

ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების კანონპროექტით გათვალისწინებულია ცალკეულ პროგრამაზე გამოყოფილი ასიგნებების დაკორექტირება, პროგრამული ბიუჯეტის დოკუმენტი და მასში წარმოდგენილი ინფორმაცია (პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები³), ძირითადად, არ განახლებულა. შედეგად, გაურკვეველია ასიგნებების ცვლილების გავლენა პროგრამის ფარგლებში მისაღებ მოსალოდნელ შედეგებზე.

ამრიგად, 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის განხილვისას მნიშვნელოვანია სწორად გაანალიზდეს დაგეგმილი დაფინანსებების მიზანშეწონილობა და აღნიშნულმა საკითხმა ადეკვატური ასახვა ჰპოვოს 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში.

³ მაგალითად, პროგრამული კოდი: 18 07 23